პაატა შარაშენიძე •

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი: რუსეთის მიზნები და შედეგები

აბსტრაქტი

რუსეთის მიერ აფხაზეთისა და "სამხრეთ ოსეთის" აღიარების მიზეზების და მიზნების შესახებ პასუხების ძიება რუსულ-ქართულ ურთიერთობებსა და 2008 წლის აგვისტოს ომის პერიპეტიებში ბევრ საკითხს მოჰფენს ნათელს. თავად ეს აღიარება უშუალოდ უკავშირდება საქართველო-რუსეთის 2008 წლის აგვისტოს ომს, რომელსაც ტერორისა და მუქარის ხასიათი ჰქონდა, რაც ე.წ. "შეშლილის თეორიის" სტრატეგიის ნაწილია. რუსეთის არმიის შემოჭრის შემდეგ ქართველმა სამხედროებმა ხანმოკლე, მაგრამ მძლავრი წინააღმდეგობა გაუწიეს მოწინააღმდეგეს. ხელისუფლებამ მოსახლეობასაც მოუწოდა წინააღმდეგობის გაწევისკენ, ხოლო როცა რუსული სამხედრო კოლონა თბილისისკენ გაემართა, საქართველოს პრეზიდენტმა დედაქალაქის დაცვის გადაწყვეტილება მიიღო. სწორედ ქართული მხარის წინააღმდეგობამ და აშშ-სა და ევროპული ქვეყნების მხარდაჭერამ უზრუნველყო შეენარჩუნებინა საქართველოს როგორც საკუთარი ხელისუფლება, ისე თავისი სუვერენიტეტი. ომის რუსეთის მიერ წინასწარ განზრახული მიზანი - საქართველოს ხელისუფლების ქვეყნიდან განდევნა ან მისი შეცვლა - ვერ იქნა მიღწეული. ამის შემდეგ გადაწყვიტა რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება, რადგან გადაეფარა 2008 წლის აგვისტოს ომში თავისი ზრახვები და თავი გამარჯვებულად გამოეცხადებინა.

საკვანძო სიტყვები: რუსეთ-საქართველოს 2008 წ. ომი, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, კოსოვო, ბუქარესტის სამიტი.

• ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ისტორიის ჯეროვანი ცოდნა ადამიანებს ხშირად აღუძრავთ ცრუ აღქმას, რომ ის არასოდეს, არანაირი ფორმით აღარ განმეორდება. 2008 წელს რუსეთის საქართველოში შემოჭრა ამის მაგალითია - მიუხედავად უამრავი მტკიცებულებისა თუ გარემოებისა, რომ ეს უცილობლად მოხდებოდა, არამარტო ქვეყნის მოსახლეობა, არამედ ხელისუფლებაც კი, ამ ფაქტს მოუმზადებელი შეხვდა. (სივილ ჯორჯია, 2008) საომარი მოქმედებები ისევე უმალ შეწყდა, როგორც დაიწყო. აქტიური საბრძოლო მოქმედებები 5 დღის განმავლობაში, 12 აგვისტომდე გაგრძელდა. 1979 წლის დეკემბერში, ავღანეთში შეჭრის შემდეგ, ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც რუსეთის არმიამ მეზობელი ქვეყნის საზღვრები გადაკვეთა და მის დაპყრობას შეეცადა. მიუხედავად ომის ხანგრძლივობის მცირე დროისა, მან მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებაც, რომელიც ამ ომის გაგრძელებად იქცა, საბრძოლო მოქმედებების დამთავრებიდან ზუსტად ორი კვირის შემდეგ მოხდა. ჩვენთვის მთავარი და საინტერესო ის წინაპირობები და მიზეზებია, რამაც რუსეთი ამ აღიარებამდე მიიყვანა.

2008 წლის აგვისტოს ომს ორი მნიშვნელოვანი მოვლენა უძღოდა წინ, რაზეც გვინდა ყურადღება შევაჩეროთ. ეს მოვლენები, რუსეთ-საქართველოს ომთან ერთად, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ერთიანი ჯაჭვის ცალკეულ რგოლებს წარმოადგენს და ის რუსეთის მიერ, 2008 წლის 26 აგვისტოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებით გაგრძელდა. ეს ერთგვარად ამ მოვლენათა ჯაჭვის ლოგიკურ დასასრულადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ. თავად ეს ფაქტები ქრონოლოგიურად ასეა დალაგებული: 1. 2008 წლის 17 თებერვალს კოსოვოს პარლამენტმა მიიღო კოსოვოს დამოუკიდებლობის აქტი, რასაც რამდენიმე დღის განმავლობაში 100-მდე ქვეყანამ დაუჭირა მხარი. 2. 2008 წლის 2-4 აპრილს რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში გაიმართა NATO-ს სამიტი, რომლის დეკლარაციის 23-ე პუნქტში ჩაიწერა: “ჩვენ [NATO-ს წევრი ქვეყნების და მთავრო-

ბების მეთაურები] დღეს ვთანხმდებით რომ ეს ქვეყნები [უკრაინა და საქართველო] გახდებიან NATO-ს წევრები… ჩვენ ვთხოვთ [NATO-ს წევრი ქვეყნების] საგარეო საქმეთა მინისტრებს მოახდინონ [საქართველოსა და უკრაინის] პროგრესის პირველადი შეფასება 2008 წლის დეკემბერში მათი შეკრების დროს. [NATO-ს წევრი ქვეყნების] საგარეო საქმეთა მინისტრებს აქვთ უფლებამოსილება განიხილონ MAP-ის მინიჭების საკითხი უკრაინისა და საქართველოსთვის" (NATO, 2008). ვფიქრობთ, ამ ფაქტების ლოგიკური გაგრძელება იყო 2008 წლის 7 აგვისტოს რუსეთს საქართველოში შემოჭრა. ამ მოვლენებამდე საქართველო - რუსეთის შორის ურთიერთობა უკიდურესად დაძაბული იყო - 2006 წლის 27 მარტის რუსეთის ემბარგოს შემდეგ ქვეყნებს შორის გაწყვეტილი იყო ეკონომიკური კავშირი - საქართველოდან რუსეთში არ შედიოდა არც ერთი სოფლის მეურნეობის პროდუქტი - ღვინო, ხილი, ბოსტნეული, სასმელი წყალი; საქართველოს მოქალაქეებს რუსეთში მოგზაურობისთვის, დსთ ქვეყნებს შორის ერთადერთს, ვიზა ჭირდებათ; საქართველო-რუსეთს შორის პირდაპირი ავიამიმოსვლა შეჩერდა.

რუსეთის აგრესიული რიტორიკა 2008 წელს კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებამ ერთიორად გაზარდა. კოსოვო და მეტოხია (შემოკლებით ამ ავტონომიურ მხარეს კოსოვოს უწოდებენ, ჩვენც ტექსტში ასე მოვიხსენიებთ) იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკის - სერბეთის, ალბანელებით დასახლებული ავტონომიური მხარე იყო. ეთნიკურ სერბებსა და კოსოვოელ ალბანელებს შორის მრავალწლიანი და სასტიკი ეთნიკური კონფლიქტის შემდეგ, სერბეთისა და კოსოვოს საკითხის საბოლოო გადაწყვეტისთვის, გაეროს წარმომადგენელმა კოსოვოს საკითხებში, ფინეთის ყოფილმა პრეზიდენტმა მარტი აჰტისაარიმ, 2007 წლის მიწურულს, წარმოადგინა გეგმა "კოსოვოს სტატუსის მოწესრიგების კომპლექსური წინადადებები". მომავალში მას აჰტისაარის გეგმა ეწოდა. ამ გეგმის მიხედვით განისაზღვრა, რომ სერბებისა და კოსოვოელი ალბანელების ერთ სა-

ხელმწიფოში მშვიდობიანი თანაცხოვრება შეუძლებელი იყო, რომ აუცილებელი იყო კოსოვოს ცალკე, სერბეთისგან დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გაეგრძელებინა ცხოვრება, რასაც მოჰყვა კიდეც კოსოვოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარება. ამ აღიარებამდე 3 დღით ადრე რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა კრემლში პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მას "მომზადებული აქვს მოქმედების საშინაო დავალება, თუ კოსოვო დამოუკიდებლობას გამოაცხადებს" (РБК, 2008). ეს განცხადება მაშინდელმა პოლიტიკურმა საზოგადოებამ იმგვარად აღიქვა, რომ პუტინის "საშინაო დავალება" აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარებას გულისხმობდა. თუმცა რუსეთისთვის საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარებასა და დასავლეთისთვის კოსოვოს აღიარებას შორის დიდი სხვაობაა. საქმე ისაა, რომ კოსოვოს დამოუკიდებელ ქვეყნად აღიარების რეალური მიზანი კოსოვოელი ალბანელების დაცვა და ფიზიკური გადარჩენა იყო. სამხრეთ კავკასიაში და სხვაგანაც, მცირე ერების დაცვა კი, რუსეთის მიზანს არასოდეს წარმოადგენდა. ამგავრი ინტერესი რუსეთს არ ჰქონია ისტორიის არც ერთ ეტაპზე, მით უმეტეს ძნელია ამის დაჯერება მას შემდეგ, როცა 2008 წლის აგვისტოს ომამდე, ჩეჩნეთის რესპუბლიკაში, 1996-2001 წლებში წარმოებული ორი ომის შედეგად 25.000 მშვიდობიანი მოსახლე იქნა მოკლული (Amnesty International, 2007). ამიტომ არ მიგვაჩნია მართებულად კოსოვოსა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების მიზნები ერთ ჭრილში განვიხილოთ. ამ ფაქტებს მიზნებიცა და მიზეზებიც სხვადასხვა ქონდათ. თუმცა ამ აღიარებებს ერთი საერთო მაინც აქვთ - კოსოვოს დამოუკიდებლობისა და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაც, ერთგვარი იძულებითი ნაბიჯი იყო. კოსოვოს შემთხვევაში, ევროკავშირის ქვეყნები და აშშ იძულებული გახდა, ალბანელების დაცვის მიზნით, ეღიარებინა მისი დამოუკიდებლობა, თუმცა იცოდნენ,

რომ ამით არღვევდნენ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დამდგარ წესრიგს, როცა 1945 წლის შემდეგ, ევროპის ტერიტორიაზე, ამ აღიარებამდე აღარ მომხდარა საზღვრების ძალადობრივი ცვლილება. რუსეთიც, თავის მხრივ იძულებული გახდა ეღიარებინა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა მას შემდეგ, რაც მან 2008 წლის აგვისტოში საქართველოში შეჭრისას ვერ შეძლო სტრატეგიული გეგმის განხორციელება - ჩამოეშორებინა საქართველოს ხელისუფლებიდან პრეზიდენტი სააკაშვილი და დაემხო მისი ხელისუფლება. ვფიქრობთ, რომ რუსეთისთვის აუცილებელი გახდა 2008 წ. აგვისტოს ომის შემდეგ, საქართველოსთან დაკავშირებით, პოლიტიკური პროცესის რაიმე ლოგიკური გაგრძელება გამოენახა. ასევე ამ აღიარებაში ჩანდა რუსეთის სურვილი როგორმე დაესაჯა საქართველო და მისი ხელისუფლება, რომელმაც გაბედა და მას წინააღმდეგობა გაუწია. ასევე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რუსეთის მხრიდან დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარება საქართველოში ომის დასრულების და კოსოვოს პრეცედენტიდან 6 თვის შემდეგ, ერთგვარ ლოგიკურ ქმედებადაც იქნა აღქმული.

NATO-ს ბუქარესტის სამიტს, კოსოვოს დამოუკიდებლობის ცნობის შემდეგ, რუსებისათვის, ცეცხლზე ნავთის დასხმის ეფექტი ჰქონდა. რატომღაც, ევროპის მაშინდელ ლიდერებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოსა და უკრაინისთვის MAP-ის მინიჭებას, მიაჩნდათ, რომ 2008 წლის ბუქარესტის სამიტის დეკლარაციაში ჩაწერილი ფრაზა, რომ "უკრაინა და საქართველო გახდებიან NATO-ს წევრი ქვეყნები", რუსეთისთვის არ იქნებოდა გამაღიზიანებელი, რადგან იქ არანაირი თარიღი არ იყო მითითებული. თუმცა, მეორე ფრაზა, რომელიც ამ დეკლარაციის 23-ე აბზაცში ჩაიწერა, რომ "უკრაინისა და საქართველოსთვის MAP-ის მინიჭების საკითხს [NATO-ს წევრი ქვეყნების] საგარეო საქამეთა მინისტრები დეკემბრის სამიტის დროს განიხილავდნენ" და მათ ჰქონდათ "უფლებამოსილება ამ ქვეყნებისთვის MAP-ი მიეცათ" (NATO, 2008)

ჩვენი აზრით, ეს ჩანაწერი, კრემლში აღიქვეს როგორც საშიშროება, რომ დეკემბერში საქართველო MAP-ს მიიღებდა. აგრეთვე ის მალე NATO-ს წევრიც გახდებოდა. ვფიქრობთ, რუსებმა, ამ საშიშროების აღსაკვეთად საქარველოში შეჭრა და ოკუპაცია, სწორედ ამ დროს, ბუქარესტის სამიტის დეკლარაციის გამომზეურების შემდეგ გადაწყვიტეს. მოგვიანებით, 2012 წელს, პუტინმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველოში შეჭრის სამოქმედო გეგმა 2006 წლიდან არსებობდა - "დიახ, ეს საიდუმლო არ არის, გეგმა არსებობდა და ჩვენ ამ გეგმის მიხედვით ვმოქმედებდით [2008 წლის აგვისტოს ომში]. გენშტაბის მიერ გეგმის შემუშავება 2006 წლის ბოლოს და 2007 წლის დასაწყისში მოხდა, და ჩემთან იყო შეთანხმებული" (Интерфакс, 2012) ამასთან აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: 2008 წლის 15 ივლისს ჩრდილოეთ ოსეთში დაიწყო სწავლება "კავკასია 2008" (Кавказский Узел, 2008), რომლის დამთავრებიდან 5 დღეში რუსეთი საქართველოში შემოიჭრა. ანალოგიური სწავლებები 2006 (РБК, 2006) და 2007 წელსაც ჩატარდა იმავე ადგილას (Первый канал, 2007), თითქმის იმავე დასახელებით და მიზნობრიობით და იგივე, 58-ე არმიის შენაერთებით. 2008 წელს საქართველოში სწორედ 58-ე არმია შემოიჭრა.

რადგან მიგვაჩნია, რომ სამრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარება უშუალოდ უკავშირდება რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომს, საჭიროდ მივიჩნევთ ამ ომის მიზნები და შედეგები უფრო ვრცლად განვიხილოთ. აშკარაა, რომ რუსეთის მიერ საქართველოში შემოჭრის ოფიციალურად გაცხადებული მიზანი - "მშვიდობის იძულება" (რუსულად: Принуждение к миру), არანაირად არ არის კავშირში საქართველოში შემოჭრის რეალურ მიზნებთან. რა თქმა უნდა, ამ ომის მიზანი ასევე არ არის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება. "მშვიდობის იძულების" შემთხვევაში ომი არ უნდა გაცდენილიყო სამხრეთ ოსეთის საზღვრებს, ხოლო მეორე შემთხვევაში ომის საჭიროებაც არ არსებობდა - რუსეთს შეეძლო

სამრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამუკიდებელ ქვეყნებად ცნობა ევროპისა ქვეყნებისა და აშშ-ს მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების სარკისებური ქმედებით აეხსნა. მაშ რა იყო ამ ომის რეალური მიზნები? რამდენად შეძლო რუსეთმა ამ მიზნების განხორციელება და აისახა თუ არა ეს მიზნები 2008 წლის 16 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის მიერ ხელმოწერილ 6 პუნქტიან გეგმაში? ხომ არ იყო სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარება ამ ომის მიზნების ვერ განხორციელების გარკვეული კომპენსაცია? ეს არის კითხვები, რაზეც ქვემოთ, ამ სტატიაში შევეცდებით ვუპასუხოთ.

საბრძოლო მოქმედებები 2008 წლის 7 აგვისტოს, გვიან საღამოს დაიწყო. თუმცა ამ ფაქტის ირგვლის ექსპერტებსა თუ მკვლევრებს შორის კონსენსუსი დღემდე ვერ იქნა მიღწეული, განსხავებით თავად ომის წამოწყების მიზეზებზე - დღეს ამ ომის თითქმის ყველა მკვლევარი თუ ექსპერტი თანხმდება, (გარდა კრემლის პროპაგანდის გავლენის მკვლევრებისა) რომ რუსეთის საქართველოში შემოჭრის რეალური მიზეზი საქართველოს ხელისუფლების დამხობა ან შეცვლა იყო. თუმცა არგუმენტირებული დასაბუთება, თუ რატომ ვერ შეძლო ამის განხორციელება რუსეთმა, არცთუ ისე ბევრია. არადა, ვფიქრობთ, სწორედ აქ უნდა ვეძებოთ პასუხები აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარების მიზეზებსა და მიზნების კვლევისას. ჩვენი აზრით, ამისთვის, საჭიროა მოვლენებზე, საომარ მოქმედებებზე, პოლიტიკოსებისა და სამხედროების ქცევებზე, რუსული სამხედრო შენაერთების გადაადგილებაზე და სხვა მრავალ ფაქტორებზე დაკვირვების შედეგად, გავარკვიოთ რუსეთის სტრატეგიული გეგმის დეტალები.

აშკარაა, რომ რუსული არმიის მოქმედებას, როგორც აქტიური საომარი ფაზის, ისე ცეცხლის შეწყვეტის შემდგომ პერიოდში, ტერორისა და დაშინების ხასიათი ქონდა. თავად საომარი მოქმედებების დროს ძნელი იყო რუსეთის არმიის რეალური მიზნების

დადგენა, თუმცა ჩანდა მათი მცდელობა - შექმნილიყო ერთგვარი აპოკალიფსის აღქმა, შეგრძნება, თითქოს რუსული არმია მზადაა დაანგრიოს და გაანადგუროს მთელი ქვეყანა, არ დაინდოს არავინ, დაბომბოს ქალაქები და სოფლები. ჩნდებოდა განცდა, რომ რუსულ არმიას აშკარად შეშლილი ხელმძღვანელობდა და მას ვერავინ და ვერაფერი შეაჩერებდა.

რუსეთმა ომის პირველ ორ დღეში ვერ მიაღწია სწრაფ წარმატებას, რის გამოც, ჩვენი აზრით, ერთიორად გაიზარდა მშვიდობიან მოსახლეობაზე საჰაერო შეტევები და დაბომბვები. ის ფაქტი, რომ საქართველოში შემოჭრის დროს უფრო მეტი სამოქალაქო და მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა ვიდრე ძალოვანი და სამხედრო პირი, აშკარად მეტყველებს ტერორსა და დაშინების მცდელობაზე. ვფიქრობთ, რომ რუსეთმა საქართველოში შემოჭრისას ე.წ. "შეშლილის თეორიის" პრინციპს მიმართა. ასე უწოდებენ მუქარის, დაშინების, ფსიქოლოგიური ზეწოლის მეთოდის გამოყენებას მოწინააღმდეგის მიმართ მაშინ, როცა მუქარისა და დაშინების რეალურად განხორციელების განზრახვა ან ბერკეტები მუქარის გამომყენებელ მხარეს არ გააჩნია. ამ თეორიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მხარემ, მისი ქმედებებით, მანიპულაციებით, შექმნას წარმოდგენა, რომ იგი დაუნდობელი და უკომპრომისი იქნება მოწინააღმდეგის მიმართ. სტრატეგიის მიზანია მუქარის მხარემ ჩაუნერგოს მოწინააღმდეგეს რწმენა, რომ მისი მიზნების განხორციელებისას ის არაფერზე უკან არ დაიხევს და გაანადგურებს მას, ამის შემდეგ, "შეშლილის თეორიის" მიხედვით მოწინააღმდეგე მხარე იძულებულია დაემორჩილოს თავდამსხმელს, არ გასწიოს წინააღმდეგობა და წავიდეს კომპრომისზე.

დაშინების, ტერორის, მოწინააღმდეგეზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების ტაქტიკა ალბათ იმდენივე ხნისაა რამდენისაც თავად ბიოლოგიური არსებები არიან. ადამიანებს, ცხოველებს, ფრინველებს, წყლის ბინადრებსაც კი ამგვარი ტაქტიკა ოდითგან, დასა-

ბამიდან ახასიათებთ. სხეულის ფორმის შეცვლა, ყიჟინა, გარკვეული დამაშინებელი ქმედებები ამ ტაქტიკის ნაწილია. ომების ისტორია ასეთი დამაშინებელი მოქმედებების, ტერორისა და ფსიქოლოგიური ზემოქმედების მრავალ მაგალითს იცნობს. ქართველების წინაპრებს "შეშლილის თეორიის" აშკარად დიდი გამოცდილება ქონდათ, რადგან ქართულ ენაში ამის გამომხატველი იდიომატური გამოთქმა დამკვიდრდა - "შიშის ზარის დაცემა". თავად ტერმინი "შეშლილის თეორია" აშშ-ს 37-ე პრეზიდენტს, რიჩარდ ნიქსონს უკავშირდება, როცა იგი ესაუბრება თავის აპარატის უფროსს, ჰ. რ. ჰალდემანს: "მე ამას "შეშლილის თეორიას" ვუწოდებ, ბობ. მინდა ჩრდილოეთ ვიეტნამელებმა ირწმუნონ, რომ მისული ვარ იმ მდგომარეობამდე, როცა შეიძლება ყველაფერი გავაკეთო ომის შესაჩერებლად. ჩვენ უბრალოდ უნდა მივიტანოთ მათ ყურამდე: "ღვთის გულისთვის, იცით, ნიქსონი შეპყრობილია კომუნიზმის სიძულვილით. ჩვენ ვერ ვაკავებთ მას, როცა ის განრისხებულია და ამ დროს ხელი უჭირავს ბირთვულ ღილაკზე". ამის შემდეგ თვით ჰო ში მინი ორ დღეში პარიზში იქნება და მშვიდობას შემეხვეწება." (ციტირებულია: Schwartz, 2023) საქმე ისაა, რომ 2 ათეული წლით ადრე, სწორედ ამ შეშლილის ტაქტიკით, აშშ-ს 34 პრეზიდენტმა დუაიტ ეიზენჰაუერმა, მიაღწია მშვიდობას კორეის ომში და ჩინელებთან სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმება შეძლო. "შეშლილის თეორიის" პრინციპების გამოყენებას ხშირად მიმართავდა სსრკ-ს გენერალური მდივანი ნიკიტა ხრუშჩოვი. ის ხშირად ცდილობდა მოწინააღმდეგისთვის თავი არაადეკვატურად და შეურაცხადად წარმოედგინა, იმ დროს, როცა იგი საკმაოდ რაციონალური პოლიტიკოსი იყო. შეშლილის თეორის პრინციპებს ხშირად იყენებს აშშ-ს 45-ე და 47-ე პრეზიდენტი დონალდ ტრამპი.

პირველად აზრი, იმის შესახებ, რომ მოწინააღმდეგეს თავი "შეშლილად", "შლეგად" მოაჩვენო, ნიკოლო მაკიაველიმ გამოთქვა ნაშრომში „მსჯელობა ტიტუს ლივიუსის პირველი დეკადის გამო"

Machiavelli (1996). მესამე წიგნის მეორე თავში, სათაურით - "ხანდა-ხან ჭკვიანურია მოწინააღმდეგეს თავი შეშლილად მოაჩვენო", ნი-კოლო მაკიაველი წერს: "ამიტომ, უნდა ითამაშო შეშლილი, რო-გორც ბრუტუსმა, და თავი ძალიან უცნაურად მოაჩვენო – აქო, ილა-პარაკო, დაინახო და აკეთო ყველაფერი, რაც შენს ზრახვებს ეწი-ნააღმდეგება" (გვ. 307-308).

"შეშლილის თეორიის", როგორც პოლიტიკური სტრატეგიის კვლევა XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს დაიწყო, როცა ამ თე-ორიისთვის ძალიან საჭირო და ხელსაყრელი - ატომური იარაღი გაჩნდა მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნის არსენალში. ამ იარაღით მა-ნიპულირება და მუქარა, აღნიშნულ პერიოდში, ერთგვარ ტრენდა-დაც კი იქცა, მას მიმართავდა თითქმის ყველა სახელწიფოს ლიდე-რი, რომლის არმიას ატომური იარაღი გააჩნდა.

ამერიკელმა მეცნიერმა დანიელ ელსბერგმა 1959 წელს პირ-ველად ჩამოაყალიბა "შეშლილის თეორია", სადაც აღწერა, როგორ შეიძლება მოლაპარაკებების დროს ლიდერის ირაციონალურობის აღქმა სტრატეგიულ უპირატესობად იქცეს. მისი იდეა იმაზე იყო აგებული, რომ თუ ლიდერი საკმარისად შეშლილად აღიქმება, მო-წინააღმდეგე შეიძლება უფრო მეტად შეშინდეს და დათმობებზე წავიდეს. ელსბერგმა განსხვავება გაავლო შეშლილობის ორ ფორმას შორის, რომლებიც საერთაშორისო პოლიტიკაში შიშის ეფექტის შექმნისთვის შეიძლება გამოყენებულიყო:

არაპროგნოზირებადობა (Unpredictability)

• ლიდერის არაპროგნოზირებადი ქცევა ქმნის შიშს, რომ იგი შესაძლოა ყველაზე ექსტრემალურ ქმედებაზეც წავიდეს.

• ასეთმა ლიდერმა შესაძლოა უარი თქვას რაციონალურ ქცე-ვაზე, არ დაეყრდნოს რისკებისა და სარგებლის ანალიზს და იმოქ-მედოს სპონტანურად.

• ეს ზრდის მოწინააღმდეგის შიშს, რადგან უცნობია, როდის გადადგამს იგი აგრესიულ ნაბიჯს.

უზომო სარგებელი (Abnormal Payoffs)

• ეს ნიშნავს, რომ ლიდერი შესაძლოა წინასწარ განსაზღვრული, რაციონალური მოდელის მიხედვით მოქმედებდეს, მაგრამ მისი ქცევები და მიზნები არ შეესაბამებოდეს "ნორმალურ" ლიდერებს.

• მაგალითად, ომი არ აღიქმება ძვირადღირებულ და დამღუპველ გადაწყვეტილებად და ერთადერთ მისაღებ შედეგად სრული გამარჯვება მიიჩნევა.

• ასეთ შემთხვევაში მოწინააღმდეგე გააცნობიერებს, რომ მის წინაშე მყოფი პირი მზად არის კატასტროფული შედეგების მისაღებად, რაც ზრდის მუქარის სანდოობას. McManus (2019)

დანიელ ელსბერგის აზრით ტიპური ლიდერი ცდილობს ომისგან თავის არიდებას, რადგან მას უზარმაზარი ღირებულება აქვს (ადამიანური დანაკარგი, ეკონომიკური ზიანი, საერთაშორისო იზოლაცია), „არანორმალური" ლიდერი კი ომს ჩვეულებრივ რისკად ან თუნდაც სასურველ გამოსავლად აღიქვამს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე დროში, როცა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უკიდურესად გამარტივებულია და მისი ანალიზი ძალიან სწრაფადაა შესაძლებელი, ბევრი მკვლევარი ამ თეორიის გამოყენების მიზანშეწონილობას არ ამართლებს. Schwartz (2023) McManus (2019)

ნებისმიერი საომარი ოპერაციის სტრატეგიული მიზნების განსაზღვრა სამი კომპონენტის ანალიზს საჭიროებს: 1. საკუთარი შეიარაღებული ძალების, 2. საერთაშორისო მდგომარეობისა და 3. მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების. ეს კლასიკური მიდგომაა ყველა შეტევითი ოპერაციის დაგეგმვისას, როგორი მიზნებიც არ უნდა ჰქონდეს მას, იქნება ეს ოკუპაცია, სპეცოპერაცია, მოწინააღმდეგის სამხედრო სიძლიერის შესუსტება, თუ მისი სრული განადგურება. თუ გადავხედავთ საქართველოში შემოჭრის წინ ამ სამი კომპონენტის მდგომარეობას, შემდეგ სურათს მივიღებთ: რუ-

სეთის ჯარი, საქართველოს შეიარაღებულ ძალებს 50-ჯერ აღემატება, უპირატესობა იმდენად დიდია, რომ, ერთი შეხედვით, მოწინააღმდეგის მიერ თავდაცვითი ზომების მიმართვას აზრი არ აქვს ძალთა ასეთი უთანასწორობის გამო, მაგრამ საერთაშორისო მდგომარეობა არ არის მომწიფებული იმისთვის, რათა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია შესაძლებელი იყოს. თუმცა შესაძლებელია ხანმოკლე სამხედრო ოპერაციის ჩატარება, თუ მოინახება ამ ოპერაციის გასამართლებლად რაიმე მიზეზი - ე.წ. Casus belli, ეს კი შეიძლება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქართული სამხედრო შენაერთების არსებობა იყოს, რადგან სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ქართული სამხედროების ყოფნა დაუშვებელია დაგომისის 1992 წლის 24 ივნისის შეთანხმებით. საქართველოს პრეზიდენტს, რომლის რეიტინგი ძალზე დაბალი იყო 2004-2008 წლებში განხორციელებული არნახულად მძლავრი და რადიკალური რეფორმების გამო, ერთი სული ჰქონდა მისი დაცემული რეიტინგი სეპარატისტული რეგიონების შემოერთების გზით აემაღლებინა.

2008 წლის აგვისტოს ომის წინა პერიოდში სამხედრო, პატრიოტულმა და საქართველოს გაერთიანების რიტორიკამ ძალიან მაღალ ნიშნულს მიაღწია. გარკვეული პროვოკაციის შედეგად ასეთი ხელისუფალის "შემოტყუება" სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არ უნდა ყოფილიყო ძნელი საქმე. ასეც მოხდა. ქართული მხარის მიმართულებით 2008 წლის ივლის-აგვისტოში ოსი სეპარატისტების წარმოებულ დაბომბვას რამდენიმე ქართველი სამხედრო და მშვიდობიანი მოსახლე შეეწირა. სეპარატისტების აუტანელ და ყოვლად პროვოკაციულ ქმედებებს ბოლო არ უჩანდა. საქართველოს ხელისუფლებამ ამის საპასუხოდ და აღსაკვეთად ცხინვალის მიმართულებით საჯარისო ფორმირებების გადაადგილება დაიწყო. 2008 წლის 7 აგვისტოს ღამით საქართველოს მიერ გახსნილი ზალპური ცეცხილის კადრები მთელმა მსოფლიომ იხილა. ის სურათი, რაც გაამართლებდა რუსეთის მიერ საქართველოზე თავდასხმის ფაქტს,

რუსეთისთვის მიღებულ იქნა. რუსეთის არმიამაც შემოჭრა არ დაყვნა. ჩვენი აზრით, რუსეთის უმაღლესი ხელმძღვანელის განზრახვაც. „შეშლილის თეორიის" მიხედვით, იმაში მდგომარეობდა, რომ ასეთი სრულმასშტაბიანი, ბრუტალური და მოულოდნელი შემოჭრის შემდეგ ქართველი სამხედროები არ გაწევდნენ წინააღმდეგობას ზემოთხსენებულ ძალთა უთანასწორობის გამო. საქართველოში შემოჭრა მართლაც მოულოდნელი, მასობრივი და ყოვლისმომცველი ჩანდა. შეტევა განხორციელდა ყველა მხრიდან - მიწიდან, ჰაერდან, ზღვიდან. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთა ორ ადგილას - აფხაზეთიდან, ფსოუს სასაზღვრო პუნქტიდან და როკის გვირაბიდან განხორციელდა. ასევე არსებობდა მესამე - ლარსის სასაზღვრო პუნქტიდან შემოჭრის შესაძლებლობა, თუმცა დარიალის ხეობა ძალზე ვიწროა და შესაბამისიად ადვილი ჩასაკეტი, რის გამოც არ მოხდა ამ მიმართულებიდან რუსული ძალების შემოსვლა. საჰერო თავდასხმები 8 აგვისტოდან დაიწყო. მასიურად იბომბებოდა როგორც სამხედრო და სამოქალაქო ობიექტები, ისე მშვიდობიანი მოსახლეობა. შემოჭრის პირველივე დღეებში რუსების მიერ მოხდა საქართველოს შეიარაღებული ძალების კატარღეების ჩაძირვა ფოთში.

ჩვენი სტატიის ფორმატში 2008 წლის აგვისტოს ომის მიმდინარეობის სრული აღწერა შეუძლებელია, მხოლოდ ამ ომის რამდენიმე დეტალზე შევჩერდებით, რომლიდანაც იკვეთება, რომ რუსეთი ამ ომში "შეშლილის თეორიის" პრინციპებით მოქმედებდა და ამ გზით ცდილობდა მოეხდინა გავლენა საქართველოს ხელისუფლებაზე, რაც ამ უკანასკნელის მიერ წინააღმდეგობაზე უარის თქმას და მის გადადგომას, ან ქვეყნის დატოვებას ისახავდა მიზნად.

2008 წლის 7-8 აგვისტოს ქართულმა სამხედრო შენაერთებმა, რუსებისთვის მოულოდნელად, მძლავრი წინააღმდეგობა გაწიეს. ქართული მხარის მიერ, 9 აგვისტოს დილით, რუსული ჯარის ავანგარდის - 58-ე არმიის წინააღმდეგ გახსნილმა ცეცხლმა რამდენიმე

ერთეული მძიმე ტექნიკა გაანადგურა და ამ არმიის მეთაური გენერალი ხრულოვი კინაღამ გამოასალმა სიცოცხლეს. ერთ-ერთი რუსი ჟურნალისტი აღწერს, თუ "როგორ ფხოჭნიდა მიწას დაჭრილი გენერალი და ბღაოდა, ქართველებმა მთელი ბატალიონი ამომიწყვიტესო". ასმუსი (2010). ამის შემდეგ მოწინავე ბრძოლაში ფსკოვის 76-სადესანტო დივიზია ჩაერთო. ამ ბრძოლების შედეგად რუსების შეჩერება 2 დღით მოხერხდა ცხინვალის მიმდებარედ. რუსებმა ცხინვალში შესვლა მხოლოდ 9 აგვისტოს საღამოსთვის მოახერხეს. მათ, წინსვლისთვის, ცხინვალის მისადგომებთან ბრძოლებში, ძალიან ძვირფასი ორი დღე დაკარგეს. ამ ფაქტიდან აშკარად იკვეთება, რომ რუსები არ ელოდნენ ქართული მხარის ასეთ წინააღმდეგობას და მედესანტეები სასწრაფოდ, 9 აგვისტოს ვლადიკავკაზში ჩასული პუტინის ბრძანებით იქნა ომში ჩართული.

აქვე გვინდა ამ ომში რუსების სტატეგიული მიზნების საილუსტრაციოდ კიდევ ერთი ფაქტი მოვიყვანოთ კონდოლიზა რაისის მოგონებებიდან, რომელიც მან თავის წიგნში "უმაღლესი პატივი: მოგონებები ვაშინგტონში გატარებული წლების შესახებ" აღწერა, მოვიყვანთ ციტატის ჩვენეულ თარგამს: "იმ საღამოს, კრიზისის დროს, სერგეი ლავროვმა მეორედ დამირეკა. [...] - ჩვენ გვაქვს სამი მოთხოვნა - მითხრა მან. -რომლები? - ვკითხე მე. -პირველი ორი ის არის, რომ ქართველებმა ხელი უნდა მოაწერონ ძალის არგამოყენების შეთანხმებას და მათი ჯარები უნდა დაბრუნდნენ ყაზარმებში-, მითხრა ლავროვმა. -შესრულდება-, ვუპასუხე. [...] მაგრამ შემდეგ სერგეიმ თქვა: -მესამე მოთხოვნა ჩვენ შორის დარჩეს. მიშა სააკაშვილი უნდა წავიდეს - ჩემს ყურებს ვერ დავუჯერე". ამის შემდეგ კონდოლიზა რაისი იხსენებს, როგორ დაურეკა მან ევროპის ლიდერებს და მოუთხრო ამ საუბრის შესახებ. ამან, რათქმა უნდა პრესაშიც გაჟონა, "რაზეც ლავროვი გაცოფებული იყო"- იგონებს კონდოლიზა რაისი მის წიგნში. Rice (2011)

მესამე ფაქტი, რაზეც გვსურს ყურადღება გავამახვილოთ უკავშირდება საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებას და პარლამენტის თავმჯდომარის მიმართვას საზოგადოებისადმი. ამ უკანასკნელმა, მისი 10 აგვისტოს სატელევიზიო მიმართვაში, საზოგადოებას მოუწოდა "ყველგან, სადაც შემოვა მტრის ჯარი, ყველა არსებული და შესაძლო იარაღით გავუწიოთ წინააღმდეგობა და არ მივცეთ მტერს საქართველოს ოკუპაციის და 1921 წლის განმეორების საშუალება", (დავით ბაქრაძე, 2008), განაცხადა დავით ბაქრაძემ სატელევიზიო მიმართვაში, ხოლო 13 აგვისტოს, როცა რუსეთის არმია თბილისისკენ დაიძრა, პრეზიდენტმა სააკაშვილმა თბილისის დაცვის გადაწყვეტილება მიიღო, (მიხეილ სააკაშვილი, 2008), ასევე საჭიროების შემთხვევაში მცხეთასთან არსებული არაგვის ხიდის აფეთქებაც არ გამორიცხა. მან ასევე აღნიშნა, რომ არსებობდა რესურსი ქალაქის დაცვა 3-დან 6 თვემდე ყოფილიყო უზრუნველყოფილი. თუმცა არაგვის ხიდის აფეთქებისა და თბილისი დაცვის აუცილებლობა აღარ დამდგარა. გორიდან გამოსულმა რუსეთის არმიის კოლონამ სოფელ ორჭოსანთან გადაუხვია და ჩრდილოეთის მიმართულებით განაგრძო სვლა.

ყველა ზემოაღნიშნული ფაქტი მეტყველებს, რომ რუსეთის სტრატეგიული გეგმა, "შეშლილის თეორიის" მეთოდებით, ჩაიშალა - ქართულმა არმიამ წინააღმდეგობა მცირე ხნით, თუმცა მაინც გასწია, რუსების გეგმა, სააკაშვილის ხელისუფლებიდან მოშორების შესახებ მთელი მსოფლიოსთვის გახდა ცნობილი. ასევე რუსების მოლოდინის ნაცვლად, რომ სააკაშვილი და მისი მთავრობა დატოვებდა საქართველოს, ის დედაქალაქში დარჩა და მისი დაცვა გადაწყვიტა. არადა თბილისის ძალისმიერი აღება რუსულ გეგმაში ნამდვილად არ შედიოდა, მითუმეტეს დასავლეთის მხრიდან, საიდანაც ქალაქი მყარად დაცულია რელიეფის თავისებურების გამო. დიდი ალბათობაა იმისა, რომ რუსების ასეთი გეგმა 1921 წლის 25 თებერვლის საქართველოს ოკუპაციის გამოცდილებით იყო ნაკარ-

ნახევი. მაშინ საქართველოს მთავრობამ, არც თუ დიდი წინააღმდეგობის შემდეგ თბილისი დატოვა. აშკარაა, რომ 1921 წლის სცენარი 2008 წელს არ განმეორდა. ის ნარატივი, რასაც რუსეთის დაზვერვა კულტივირებდა საქართველოში და მაშინდელი, რუსეთის მიერ კონტროლირებადი საქართველოს ოპოზიციური პარტიებიც ახმოვანებდნენ - პრეზიდენტ სააკაშვილის მშიშრობის შესახებ - მცდარი აღმოჩნდა. ამასთანავე სრულიად სხვა რეაქცია ჰქონდა ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ს 1921 წლის მოვლენებისგან განსხვავებით. ასევე აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ 1921 წლის ოკუპაციის დროს აზერბაიჯანი და სომხეთი რუსეთს უკვე დაპყრობილი ჰქონდა. რუსეთის ჯარი იმ დროს, გარდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისა, სომხეთისა და აზერბაიჯანის მხრიდანაც შემოიჭრნენ. აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან თბილისის დაცვა გაცილებით რთული იყო. არადა, 2008 წელს რუსებს, დასავლეთის მიმართულებიდან გარდა, სხვა მხრიდან თბილისზე შეტევის შესაძლებლობა არ ჰქონდათ. სომხებმა, თავიანთი ტერიტორიიდან, რუსეთის არმიას, საქართველოში შემოჭრის უფლება არ მისცა.

ვფიქრობთ, 2008 წლის აგვისტოს რუსეთის "შეშლილის თეორიის" გეგმა გარკვეულწილად ავანტურული იყო. საქმე ისაა, რომ სამხედრო წრთვნებში - კავკასია 2008, რომელიც 15 ივლისს ჩრდილოეთ ოსეთში დაიწყო (Кавказский Узел, 2008) და ამის შემდეგ ეს შენაერთები 7 აგვისტოს საქართველოში შემოიჭრნენ - 8000 ჯარისკაცი და 700 ერთეული სახმელეთო სამხედრო ტექნიკა იღებდა მონაწილეობას (Ведомости, 2008). 9 აგვისტოს მათ ფსკოვის 76-ე სადესანტო დივიზიის ჯარისკაცებიც დაემატნენ, რომლებიც სასწრაფოდ, თვითმფრინავებით გადმოაფრინეს ქალაქ მოზდოკში. ღია წყაროებით არ არის ცნობილი, თუ რამდენი მედესანტე იღებდა ცხინვალის აღების ოპერაციაში მონაწილეობას, თუმცა ცნობილია, ფსკოვის 76-ე სადესანტო დივიზიაში სულ 6300 ჯარისკაცი ირიცხებოდა (Псковская Лента Новостей, 2002). რუსებს ამ რაოდენობის ჯა-

რითა და სამხედრო ტექნიკით, რომლითაც აღმოსავლეთ საქართველოში შემოიჭრნენ, არანაირი შესაძლებლობა არ ჰქონდათ მოეხდინათ აღმოსავლეთ საქართველოს ოკუპაცია და ეფექტურად გაეკონტროლებინათ დაპყრობილი ტერიტორიები, არათუ ქვეყნის ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა ან შეცვლა განეხორციელებინათ. დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთის მხრიდან შემოჭრილი საჯარისო შენაერთები კი არ გადმოსულან აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. 2008 წელს, საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინებით, რუსეთი ვერ შეძლებდა საქართველოში ხანგრძლივი და დამანგრეველი ომი ეწარმოებინა. ხანმოკლე დროში კი რუსები შეძლებდნენ საბრძოლო მოქმედებებში ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან ჩაერთო საჯარისო ნაწილები. ცხადია, ქართული მხარიდან წინააღმდეგობის გაწევა, რუსების გეგმებში არ შედიოდა.

2008 წლის 16 აგვისტოს, როცა რუსები უკვე შეეგუენ იმ ფაქტს, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი თავისი ნებით არ დატოვებდა ხელისუფლებას, ხოლო ძალისმიერი გზით მისი შეპყრობა ან თბილისის აღება შეუძლებელი იყო, ხელი მოაწერეს ცეცხლის შეწყვეტის 6 პუნქტიან გეგმას. გვინდა აქაც ერთ დეტალს მივაპყროთ ყურადღება. 2008 წლის 7 აგვისტოდან თითქმის 16 აგვისტომდე რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი - პრეზიდენტი მედვედევი, პრემიერი და რუსეთის ფაქტიური მმართველი პუტინი შეუვალი და ხისტი იყვნენ საფრანგეთის პრეზიდენტ სარკოზისთან მოლაპარაკებებზე. ის მაშინ საქართველოსა და რუსეთს შორის შუამავლის როლს ასრულებდა, როგორც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის პრეზიდენტი. როგორც რონალდ ასმუსი თავის წიგნში “მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა”, აღწერს ეპიზოდს, თუ როგორ დაურეკა საფრანგეთის პრეზიდენტმა სარკოზიმ რუსეთის პრეზიდენტ მედვედევს და 6 პუნქტიანი გეგმიდან, არც თუ უმნიშვნელო სიტყვის, “სტატუსის” ამოღება სთხოვა. რუსეთის პრეზიდენტი ამას უმალ დათანხმდა. (ასმუსი, გვ.227) ვფიქრობთ, ამ

დროს რუსებს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ აემოქმედებინათ ერთგვარი სათადარიგო გეგმა რაც საქართველოს სეპარატისტული რეგიონების აღიარებას გულისხმობდა და მათთვის 6 პუნქტიან გეგმის ტექსტს უკვე არანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

აგვისტოს ომის დაწყებამდე საქართველოს პრეზიდენტ საკაშვილს მისი უცხოელი კოლეგები ურჩევდნენ არ აჰყოლოდა რუსების პროვოკაციებს და აგრესიის შემთხვევაში არ გაეწია მათთვის წინააღმდეგობა. სააკაშვილი სრულიად საპირისპიროდ მოიქცა, და როგორც შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, სრულიად მართებულადაც. საქართველოს ხელისუფლება და თავად ქვეყნის სუვერენიტეტი, ვფიქრობთ, სწორედ პრეზიდენტ სააკაშვილის გადაწყვეტილებებმა - რომ ქართულ ჯარს მიეღო ბრძოლა, აგრეთვე მოწოდებამ მოსახლეობის მიმართ, გაეწიათ წინააღმდეგობა რუსებისთვის, ასევე თბილისის დაცვის გადაწყვეტილაბამ გადაარჩინა. შესაძლოა ამ გადარჩენაში ერთ-ერთი მთავარი როლი აშშ-ს მხარდაჭერამაც განაპირობა, როდესაც თბილისის აეროპორტში ასაფრენ-დასაფრენ ბილიკზე ამერიკული თვითმფრინავები "შეყოვდნენ" (შარაშენიძე, 2023), რომლებმაც საქართველოში ერაყში მყოფი ქართული ჯარის ნაწილები დააბრუნეს ომში ჩასართველად. ეს ფაქტი სწორედ იმ დროს მოხდა, როცა საქართველოს სტრატეგიულ ობიექტებს რუსები განუწყვეტლივ ბომბავდნენ. დღეს ძნელი სათქმელია, რომელი იყო ზემოაღნიშნული მოვლენებიდან ყველაზე მთავარი, რამაც განაპირობა, რომ საქართველო, მიუხედავად მძიმე ადამიანური, ტერიტორიული და მატერიალური დანაკარგებისა, მაინც გადარჩა და შეინარჩუნა როგორც საკუთარი ხელისუფლება, ისე დამოუკიდებლობა.

2008 წლის აგრესიის მიუხედავად, რუსეთმა ვერ შეძლო სტრატეგიული გეგმის შესრულება და ვერ მოახდინა საქართველოში მისთვის არასასურველი ხელისუფლების ცვლილება. ვფიქრობთ, ეს გახდა მიზეზი, რომ 2008 წლის 26 აგვისტოს, საქართვე-

ლოში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებიდან 14 დღეში რუსეთის პრეზიდენტმა მედვედევმა, მოსკოვში ხელი მოაწერა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების დოკუმენტს. ამ დოკუმენტზე ხელმოწერის მიზანი კი რუსეთის მოსახლეობისთვის და მსოფლიოსთვის იმის ჩვენება იყო, რომ რუსეთმა აგვისტოს ომში საქართველოსთან გამარჯვებას მიაღწია.

გამოყენებული ლიტერატურა

NATO. (2008, April 3). Bucharest Summit Declaration. *North Atlantic Treaty Organization* https://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_8443.htm

РБК (2008, February 17). Косово провозгласило независимость. *РБК* https://www.rbc.ru/politics/17/02/2008/5703cb2e9a79470eaf76940d

Amnesty International. (2007, May 24). Amnesty International Issues Reports on Disappearances. *Chechnya Weekly.* https://web.archive.org/web/20080223150109/http://www.jamestown.org/chechnya_weekly/article.php?articleid=2373419

Интерфакс. (2012, August 12). Путин рассказал о подготовке южноосетинских ополченцев перед войной с Грузией. *Интерфакс*. https://www.interfax.ru/russia/259585

Кавказский Узел. (2008 July 22). Грузия заявляет об агрессии России в связи с учениями "Кавказ-2008" в ЮФО. *Кавказский Узел.* https://www.kavkaz-uzel.eu/articles/141402

РБК. (2006, February 22) *МИД РФ:* Воздушное пространство Грузии не нарушалось. *РБК.* https://www.rbc.ru/politics/22/02/2006/5703bbc29a7947afa08c96e3

Первый канал. (2007, July 9). На Северном Кавказе начались антитеррористические учения. *Первый канал.* https://www.1tv.ru/news/2007-07-09/204276-na_severnom_kavkaze_nachalis_antiterroristicheskie_ucheniya

McManus, Roseanne W. (2021). Crazy like a Fox? Are Leaders with Reputations for Madness More Successful at International Coercion?. *British Journal of Political Science*. https://sites.psu.edu/roseannemcmanus/articles/

Schwartz, Joshua A. (2023) Madman or Mad Genius? The International Benefits and Domestic Costs of the Madman Strategy. *Security Studies.* https://www.joshuaaschwartz.com/publications.html

Machiavelli, Niccolo. (1996).Discourses on Livy. The University of Chicago press.

ბაქრაძე, დავით (2008, აგვისტო 10). *დავით ბაქრაძის მიმართვა, 10 აგვისტო 2008 წელი - აგვისტოს ომი.* [Video]. URL: youtube.com/watch?v=xk6lXiylaoc

Ведомости. (2008, June 15). В учениях "Кавказ-2008" примут участие 8 000 солдат и 700 единиц бронетехники. *Ведомости.* https://www.vedomosti.ru/library/news/2008/07/15/v-ucheniyah-kavkaz-2008-primut-uchastie-8-000-soldat-i-700-edinic-bronetehniki

Псковская Лента Новостей (2002, Август 29) На первом этапе эксперимента в 76-й дивизии ВДВ из контрактников планируется сформировать один полк. *Псковская Лента Новостей.* https://pln-pskov.ru/news/5535.html

სივილ ჯორჯია. (2008, ნოემბერი 28). ომის შემსწავლელმა საპარლამენტო კომისიამ სააკაშვილს მოუსმინა. *სივილ ჯორჯია.* https://old.civil.ge/geo/article.php?id=20112

Rice, Condoleezza (2011) No Higher Honor: A Memoir of My Years in Washington. *Goodreads.*https://www.goodreads.com/quotes/7980921-t-hat-afternoon-sergei-lavrov-called-me-for-the-second-time

ასმუსი რონალდ, დ. (2010). მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა. *ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.*

შარაშენიძე, ქართლოს. (2023, აგვისტო 12). აგვისტოს ომი 15 წლის გადასახედიდან. *ამერიკის ხმა.* https://www.amerikiskhma.com/a/russia-georgia-war-15-th-anniversary/7221808.html

Paata Sharashenidze

The Russian-Georgian War of 2008: The Aims of Russia and Consequences

Abstract

The search for answers about the reasons and goals of the recognition of Abkhazia and South Ossetia sheds light on many issues in Russian-Georgian relations and the events of the August 2008 war. This recognition itself is directly related to the August 2008 Georgian-Russian war, which had the character of terror and intimidation, which is part of the so-called "madman theory" strategy. After the invasion of the Russian army, the Georgian military offered short but strong resistance to the enemy. The government also called on the population to resist, and when the Russian military convoy headed towards Tbilisi, the President of Georgia decided to defend the capital. It was the resistance of the Georgian side and the support of the US and European countries that ensured that Georgia preserved both its own government and its sovereignty. Russia's intended goal of this war - to oust or replace the Georgian government - was not achieved. Russia then decided to recognize Abkhazia and South Ossetia, having concealed its intentions in the August 2008 war and declared itself the victor.

Keywords: Russo-Georgian War, August War, 2008, Madman Theory, Abkhazia, South Ossetia, Kosovo, Bucharest Summit.